გაკვეთილი პარალელების ძიებაში

ავტორი თეონა ბექიშვილი

მიხა ხელაშვილის „ლექსო ამოგთქომ ოხერო“ და რევაზ ინანიშვილის „დედა“ –

ვინც სკოლაში მუშაობს ან ადრე ჰქონია მსგავსი გამოცდილება, დამეთანხმება, საგაკვეთილო პროცესი ყოველთვის ისე ვერ მიდის, როგორც დაგეგმილი იყო. ხანდახან ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო (ვთქვათ, ცოტა მოსწავლეა და დაგეგმილი მასალის ახსნას აზრი არა აქვს, ან კოლეგა ავადაა და კლასების შეერთება გვიწევს, ან, სამწუხაროდ, კლასის უმეტესი ნაწილი მოუმზადებელია და დაგეგმილი საგაკვეთილო პროცესისათვის აუცილებლად გვჭირდება მათი მზადყოფნა და ა.შ) მასწავლებელს უწევს იმპროვიზაცია და ასეთ დროს ყველაზე მოსახერხებელია მცირე ზომის ტექსტები, რომლებიც საშუალებას იძლევა კლასშივე წავიკითხოთ, მოვაწყოთ განხილვა, რაც შეიძლება მეტად უზრუნველვყოთ კლასის თითოეული წევრის ჩართულობა და ასეთ გაკვეთილზე მიღებული ცოდნა თუ გამოცდილება სამომავლო მოტივაციად ვაქციოთ. მსგავსი ტიპის იმპროვიზაციული გაკვეთილი დღეს, ციფრულ ეპოქაში, მეტად შესაძლებელია, რადგან მასწავლებელთა დიდ ნაწილს ხელი მიუწვდება თუნდაც მობილურ ინტერნეტზე და ტექსტების უცებ მოძიება პრობლემა არაა.

შევეცდები ერთი ასეთი გაკვეთილის თემა მოგაწოდოთ. ვფიქრობ, იგი გამოსადეგი იქნება როგორც საბაზო საფეხურზე, ასევე – საშუალოზე და პედაგოგი თავად შეძლებს კლასის მომზადების დონის მიხედვით გაართულოს ან გაამარტივოს ტექსტების ანალიზი.

მახსოვს ბავშვობაში განსაკუთრებულად მიყვარდა ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ შედგენილი კრებული „ხალხური პოეზია.“ ფოლკლორული კრებულები სხვაც გვქონდა, მაგრამ ეს, ყავისფერი, საშუალო სისქის სქელყდიანი წიგნი რაღაცით გამორჩეული იყო, ალბათ, უპირველესად, შემდგენლის გემოვნებით. ახლა ეს წიგნი აღარა მაქვს, სადღაც გაიბნა, ალბათ ვინმემ ითხოვა და არ დააბრუნა, მაგრამ მისი, როგორც ნივთის სიყვარული, დღემდე მომყვება.

აი, ამ კრებულში, როგორც მახსოვს, დასაწყისშივე დაბეჭდილი იყო მიხა ხელაშვილის „ლექსო ამოგთქომ ოხერო, “ დაბეჭდილი იყო როგორც ხალხური ნაწარმოები, თუმცა მამა გვიყვებოდა, რომ სინამდვილეში ლექსს ავტორი ჰყავდა, რომელიც ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმში იბრძოდა, საბჭოთა ხელისუფლებას ეომებოდა და მისი, როგორც ხალხისა და სახელმწიფოს მტრის ლექსების დაბეჭდვა არ შეიძლებოდა. ამ სახით აერიდა ვახტანგ კოტეტიშვილი ცენზურას, ლექსი მაინც გადაარჩინაო. სიმართლე რომ გითხრათ, მაშინ ქაქუცა ჩოლოყაშვილზეც ძალიან ცოტა რამ ვიცოდით და წითელი არმიისთვის გაწეულ წინააღმდეგობაზეც. თუმცა თავისთავად მომხიბვლელი და რომანტიკულ ელფერში გახვეული იყო ორივე სახელი, როგორც ყველაფერი აკრძალული და ანტისაბჭოთა.

ვფიქრობ, ეს ისტორია, მიხა ხელაშვილის ტრაგიკულ ბედისწერასთან ერთად, საშუალებს მისცემს მასწავლებელს გააჩინოს ინტერესი და უახლოეს ტოტალიტარულ გამოცდილებაზე გაუმახვილოს მოსწავლეებს ყურადღება, რადგან მტრების მიერ მისთვის დედის მოკვლის ამბავი ერთ-ერთი ნათელი მაგალითია, სადამდე შეიძლება მივიდეს ადამიანთა უგუნურება.

მიხა ხელაშვილი ბიოგრაფია და სახელი ასევე შესაძლებლობას იძლევა ყაჩაღობის, ტყეში გავარდნილობის მოტივებისა და კონტექსტის გასააზრებლად. მით უფრო, რომ ფოლკლორში ჩვენ გვაქვს ბრწყინვალე ნიმუში „არსენას ლექსი," რომელიც ნამდვილ პიროვნებას ეძღვნება, გვაქვს ამავე თემატიკის მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი," ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი" და ბევრი და ბევრი. თუნდაც სისონა დარჩიას გმირული საქციელი რად ღირს, როცა ის დევნილი, ყაჩაღი, გავარდნილი კაცი ძმის სატირალში მაინც მიდის:

„სისონაი დარჩიაი

ნაქებია ბიჭობაში,

შევიდა და ძმა იტირა,

არ შეშინდა ამდონ ხალხში

შენ მკვდარი და მე ცოცხალი,

რაფერ გავერიო ხალხში?"

ასევე შეგვიძლია მსოფლიო გამოცდილებიდან გავახსენოთ რობინ ჰუდი, რომლის შერვუდის ტყის ზღაპრული სამყაროს შესახებ თანამედროვე ბავშვებმა, როგორც წესი, კინოფილმიდან იციან.

ვფიქრობ, ყაჩაღების სახელებს მოზარდები ისედაც ხვდებიან და აუცილებელია, იცოდნენ კონტექსტი, რა განაპირობებდა მათ რომანტიზაციას, რატომ უყვარდათ ისინი და რატომ უთანაგრძნობდნენ, უნაწილებდნენ უკანასკნელ ლუკმას, იფარებდნენ და თავიანთ თავებს საფრთხეში იგდებდნენ?

ამგვარი მცირე ბიოგრაფიულ-ეპოქალური ექსკურსის შემდეგ შეგვიძლია წავუკითხოთ თვითონ ლექსი, თუ პროექტორის საშუალებაა, გავუშვათ ეკრანზე და ანალიზისათვის ვუბიძგოთ, დაყონ ნაწილებად. მივეხმაროთ, რომ გამოყონ ოთხი ძირითადი აზრობრივი მონაკვეთი.

1. ლექსი, მისი ამოთქმის, დატოვების ამბავი:

" ლექსო, ამოგთქომ ოხერო,

თორო იქნება ვკვდებოდე,

და შენ კი ჩემებრ სახსოვრად,

სააქაოსა რჩებოდე."

თუ ნასწავლი აქვთ, შეგვიძლია შევახსენოთ გურამიშვილი, რომელიც საწუთროსთან საბრძოლველად სწორედ თავის „დავითიანს“ „იღერებს“. ასევე შეიძლება გალაკტიონის მთაწმინდის მთვარეზე საუბარი („ ... და გაჰყვება საუკუნეს თქვენგან ჩემი ქნარი);

2. დატირების ამბავი, კითხვა, ვინ იგლოვებს მას და პასუხი, რომ ყველას გლოვა წუთისოფელივით წარმავალი იქნება:

„მეორე დღესა ისიცა სხვისა ჭირს გაალხინებსა“;

3. დედა, როგორც ერთადერთი მარად მგლოვიარე ადამიანი:

„მე დედის გულში ვიქნები, ძილსაც არ დაიძინებსა“;

4. შვილების დანაშაული დედისადმი:

„დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ გვახსოვს შვილებსა, ამიტომ წუთისოფელი სულ მუდამ გვაცოდვილებსა.“

დატირების ამბავთან დაკავშირებით, მისი მნიშვნელობის საჩვენებლად, შეგვიძლია თავად ავტორის საქციელზე გავუმახვილოთ ყურადღება, რომ მანაც, როგორც სისონა დარჩიამ, დიდი რისკის ფასად დაიტირა საყვარელი ადამიანი, ის მივიდა დედის გასვენებაში, დაემშვიდობა და შემდეგ მიუძღვნა საოცარი დრამატიზმითა და ჰუმანიზმით სავსე ლექსი „დედის სიკვდილზედ“, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ „მტერიც არ შეხვდა მტრისფერი“ და იქვეა პატიება, პატიება თუ არა შურისძიებაზე უარის თქმა დედის მკვლელებისადმი:

„შინაურების დათოფვა,

არ ეკადრება გმირსაო!“

ლექსზე საუბრის დასასრულს აუცილებლად განსახილველია მნიშვნელობა სიტყვებისა: „ დედა არ გვახსოვს შვილებსა.“ ამის საილუსტრაციოდ კარგი იქნება „ოთარაანთ ქვრივის“ გიორგის წასვლა გავახსენოთ:

„ დედას გულმა ტეხა დაუწყო.

_უკან აღარ მოიხედა! _ დაიკვნესა დედამ, _ ჩემგან მიდის, თითქოს ძაფიც არ იჭერს; სხვაგან მიდის, თითქოს თოკით ეწევიანო.“

კლასის მზაობის მიხედვით შეგვიძლია ბიბლიურ მოტივებზეც ვიმსჯელოთ. ერთი მხრივ, მშობლებისგან გამოყოფასა და ცოლთან ან ქმართან შერთვაზე და მეორე მხრივ, უძღები შვილის არაკზე, სადაც მამასთან, ღმერთთან დაბრუნებაზეა საუბარი, თუმცა მისი განხილვა მშობლისა და შვილის ურთიერთობის ჭრილშიც შეიძლება.

ვფიქრობ, ლექსის ანალიზის შემდეგ, მასწავლებლის მიერ სწორი მიმართულების მიცემის საშუალებით და მოწაფეების ჩართულობით, კლასმა უნდა გამოიტანოს დასკვნა, რომ შვილები მარადიულად მიდიან მშობლებისაგან და ეს ერთადერთი სწორი გზაა გაზრდისა და საკუთარი თავის

პოვნის, მაგრამ, ამავე დროს რჩება მარადიული გრძნობა დანაშაულისა, რადგან ვტოვებთ მათ, ვინც ცხოვრება გვაჩუქა.

მიხა ხელაშვილის ლექსის „ლექსო ამოგთქომ ოხერო“ ანალიზის შემდეგ მივაწოდოთ რევაზ ინანიშვილის „დედა“, რომელიც პროზაული ტექსტია, თუმცა მცირე ზომისაა და გაკვეთილზე წასაკითხად მოსახერხებელია. ეს ნაწარმოები საკმაოდ პოპულარულია თუნდაც სოციალურ ქსელებში, მაგრამ ძირითადი აქცენტი ყოველთვის დედაზეა, რომელიც რჩება სინათლით ხელში და მარადიულად უნათებს შვილს გზას. თუმცა შვილის გრძნობები, მისი დანაშაული, მისი გაქცევა დედისაგან, როგორც წესი, მიჩქმალულია ხოლმე. ამ საკითხზე არც თავად ავტორი წერს ღიად და ყველასთვის დასანახად. ისედაც მცირე ტექსტში სულ ორი მინიშნებაა:

„ვიყავი ერთ ღამეს და ერთ დღეს, თითქოს ეზო-ყორეს მოწესრიგებით გართული, სინამდვილეში რაღაც ცოდვით შეწუხებული. მეორე საღამოს, უკვე შებინდებულზე წამოვედი.“

„დავუნთებ ხოლმე სანთელს, დავიჩოქებ, მაგრამ ვერაფერს ვშველი ჩემს დარდს...“

ვფიქრობ, ლექსის გაანალიზების შემდეგ მოსწავლეები უკვე სრულიად დამოუკიდებლად შეამჩნევენ ამავე დანაშაულის გრძნობას „დედაში“ და გააანალიზებენ, რომ რეზო ინანიშვილის გმირი სინამდვილეში დედასთან რომაა, მაშინაც უკვე წამოსულია მისგან, უკვე გაწყვეტილია მისი კავშირი მშობელთან, ის ეზო-ყორე მაცოცხლებელი, აუცილებელი გარემო აღარაა, მისი სახლი უკვე სადღაც სხვაგან არის და ფუსფუსი სწორედ ამ გაუცხოების დასაფარავად სჭირდება.

ამ ტიპის აღმოჩენები ტექსტში სერიოზული ლიტერატურული გამოცდილებაა. როცა მოზარდს შეუძლია ამოხსნას და დაინახოს მინიშნებებით დახატული მარადიული სევდა, ის უკვე ჩართულია მხატვრული ლიტერატურის შეუცვლელ ველში და ვფიქრობ, ამგვარი წარმატებული გამოცდილება დაეხმარება, ჩამოყალიბდეს ნამდვილ მკითხველად და მზად იყოს ახალი და ახალი ლიტერატურული ამოცანების ამოხსნისათვის.